ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/ე413-16

"04" 04 2016 წ.

დადგენილება №001114
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმის შეწყვეტის შესახებ

04.04.2016წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. № 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაფარიძემ განვიხილე 2016 წლის 16 თებერვლის №001114 მითითება და 2016 წლის 04 მარტის №001114 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "გარდინერ ინტერნაშიონალ ბილდინგ სერვის"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი №401998772, დირ. მუროდჯონ შაკიროვი (№4400008149, ტაჯიკეთი), მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №59, ბ. №19) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 49-ე მუხლის (მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) "ა" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, დიდი დიღომი, II და III მ/რ, კორპ. №19-ის მოპირდაპირედ (საკ. კოდი №01.10.06.001.026) შ.პ.ს. "გარდინერ ინტერნაშიონალ ბილდინგ სერვის"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ა" ბლოკის მშენებლობა მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევით, კერძოდ, ფასადზე არსებული აივნები არ არის შემოღობილი. ერთ ვერტიკალზე სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში არ არის დაცული ქვემოთ განლაგებული სამუშაო ადგილები და სავალი ნაწილი სათანადო დამცავი საშუალებებით (ბადე, ფცნილი). მშენებლობის უსაფრთხოების ღობე არ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ უსაფრთხოების ნორმებს. სამშენებლო ობიექტზე მომუშავე პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2016 წლის 16 თებერვალს შედგენილ იქნა მითითება №001114, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა ობიექტზე მშენებლობის უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად და საექსპერტო დასკვნის წარმოსადგენად აღნიშნული მოთხოვნების შესრულების შესახებ.

2016 წლის 04 მარტს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების

აქტი №001114, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა, კერძოდ, ნაწილობრივი შესრულება: რამოდენიმე აივანი არ არის შემოღობილი. არ არის წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნა. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

2016 წლის 30 მარტს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს, რომელიც სხდომაზე არ გამოცხადდა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მთ. სპეციალისტის ი. გაბაიძის 01.04.2016წ. მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ შ.პ.ს. "გარდინერ ინტერნაშიონალ ბილდინგ სერვის"-ის მიერ სრულად არის შესრულებული სამსახურის №001114 16.02.2016წ. მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით, ასევე წარმოდგენილია საექსპერტო დასკვნა. საქმეშია, შ.პ.ს. "შენ-ექსპერტი"-ს ექსპერტიზის დასკვნა 24.03.2016წ.; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "გარდინერ ინტერნაშიონალ ბილდინგ სერვის"-ის მიერ გამოსწორებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, დიდი დიღომი, II და III მ/რ, კორპ. №19-ის მოპირდაპირედ (საკ. კოდი №01.10.06.001.026) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ა" ბლოკის მშენებლობაზე უზრუნველყოფილია სამსახურის №001114 16.02.2016წ. მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25 მუხლის მე-11 ნაწილის "ა" და "ბ" პუნქტებით

დავადგინე:

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება შ.პ.ს. "გარდინერ ინტერნაშიონალ ბილდინგ სერვის"-ის მიმართ.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე შ. ჯაფელი